სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/26

ქ. თბილისი 21 ივნისი 2023

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) წევრების უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-10 მუხლის მე-5 ქვეპუნქტისა და მე-11 მუხლის, სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) წევრების, ირაკლი ლომიძის და ნანა გოგესაშვილის პირადი განცხადებების, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადამიანური კაპიტალის მართვის დეპარტამენტის 2023 წლის 21 ივნისის №0000734982 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2023 წლის 21 ივნისის №01-06-02/05 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. შეუწყდეთ სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) წევრის უფლებამოსილება პროფესორ ირაკლი ლომიძეს და პროფესორ ნანა გოგესაშვილს, სტუ-ის აკადემიურ საბჭოს წევრებად არჩევის გამო;
2. შეუწყდეთ სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) წევრის უფლებამოსილება პროფესორ ეთერ უთურაშვილს და პროფესორ შორენა ხიზანიშვილს, უნივერსიტეტთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის გამო;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**